sdgf false

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ.ᲒᲔ
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ �პᲝᲠᲢᲐᲚᲘ

რისთვის გაშიშვლდა კრისტი ყიფშიძე - "მთელი ქუჩა იდგა და მიყურებდა" (+7 ფოტო)

08:15 / 04-12-2013

მოდელმა კრისტი ყიფშიძემ საცურაო კოსტუმში გადაღებული ფოტოები "ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე გუშინ განათავსა. მას მერე ბევრი ადამიანი უკავშირდება და ეკითხება, - სად არის ეს თამამი ფოტოები გადაღებული და რა ხდებოდა? შევეხმიანეთ ჩვენც.

- კრისტი, ფილმში ხომ არ გიღებენ? თუ საცურაო კოსტიუმში გადაღებული ეს შენი მორიგი ფოტოსესიაა?

- ეს არის ვიდეორგოლის გადაღების პროცესი, რომლის პრემიერა დღეს შედგება. ამიტომ ფოტოები ერთი დღით ადრე, ანონსის სახით გავავრცელე.

- სურათები საცურაო კოსტიუმში როგორც დახურულ სივრცეში, ისე შუა ქუჩაშიც არის გადაღებული. რთული არ იყო ეს?

- ეს არის "Arttime Boutiques" რეკლამა, რომელიც რეჟისორმა გიგა აგლაძემ გადაიღო. კლიპს ზაფხულში ვიღებდით. სურათებს თუ კარგად დააკვირდებით, ნახავთ, რომ კარგი ამინდია და საკმაოდ ცხელა... ვიდეორგოლი 2-წუთიანია და კომედიური ჟანრისაა. მასზე მუშაობა საერთოდ არ გამჭირვებია, არც პოზირება და არც თამაში. თან, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დიდი ხანია გამომიმუშავდა ხასიათიც, - მუშაობისას არ მაქვს სიმორცხვის შეგრძნება, პრინციპში რისი უნდა გცხვენოდეს? როცა შენს თავსა და სხეულში დარწმუნებული ხარ. კომფორტულად ვმუშაობ და არ არის რთული...

იმდენად მიყვარს ჩემი საქმე და ისე სერიოზულად ვეკიდები მას, რომ სხვა რაღაცებზე ფიქრის დრო არც მრჩება. მთავარია, როლი კარგად შევასრულო და კარგი ნამუშევარი გამოვიდეს.

- ე.ი. ეთანხმები აზრს, რომ ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს?

- კი, ხელოვნება მოითხოვს დიდ შრომას, უდიდეს სიყვარულს. ჩემი დამოკიდებულება ასეთია, - საქმეს პროფესიონალურად უნდა მიუდგე!

- ისე, ასეთი თამამი ფოტოები საქართველოში, შუა ქუჩაში მგონი, არც ერთ მოდელ**ს არ გადაუღია...**

- ასეთი ფოტოები არ ვიცი, ალბათ, საქართველოში გადაუღიათ, არ ვამბობ, რომ ამ საქმეში პიონერი ვარ,
მაგრამ ჩემი სახელიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ცოტა სარისკო კი იყო, ვაითუ, არ გამოვიდეს ისეთი-მეთქი, - ეს კითხვა, რა თქმა უნდა, მქონდა, მაგრამ იმდენად კარგ და პროფესიონალ ხალხთან მიწევდა მუშაობა, რომ წინადადებას მაშინვე დავთანხმდი.

- გადაღება რაიმე სასაცილო ამბავის გარეშე არ ჩაივლიდა.. იქნებ გაიხსენო?

- სასაცილო ის იყო, რომ მთელი კუტუზოვის ქუჩა, ფაქტობრივად, იმ დღეს გადავკეტეთ... საცობი ჩვენი გადაღების გამო შეიქმნა, თან, ხომ წარმოგიდგენიათ ცნობისმოყვარე ადამიანების სახეები?.. ნაცნობ, შიშველ ქალს ხედავდნენ, რომელიც ქუჩაში დადიოდა. მაგრამ ისეთი დადებითი და პოზიტიური განწყობა იყო, ხალხი იდგა, სიამოვნებით გვიყურებდა და ტაშსაც გვიკრავდა.

- რა გითხრა შენმა შვილმა, ნატაშკამ, შენმა "მთავარმა" შემფასებელმა?

- ნატაშკა როგორც მომავალი მსახიობი, ამას ყველაფერს დადებითად უყურებს. ერთი კი მითხრა: ვაიმე, დედა, ასე როგორ დადიოდიო? მაგრამ, ხომ გითხარით, თვითონ კლიპიც კომედიურია და ვფიქრობ, არ გააღიზიანებს მაყურებელს.

დიდი ყურადღება მივიქციეთ. მაგ დღეს "ფეისბუქზე" იმდენი წერილი დამხვდა, მაგალითად, ერთი მახსენდება, - "გაიხარე კრისტი, ასე რომ გაალამაზე დღეს ჩვენი ქუჩა"...

- რას გვეტყვი რეჟისორზე, გიგა აგლაძეზე, როგორია მასთან მუშაობა?

- გიგა აგლაძე ძალიან კარგი და კომფორტული რეჟისორია. მასთან მუშაობა ადვილია იმიტომ, რომ ზუსტად გიხსნის, რა უნდა. არაჩვეულებრივი ჯგუფი ჰყავს, ყველას ვერ ჩამოვთვლი, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, მათთან ბევრჯერ მიმუშავია და იმედია, კიდევ ბევრი კარგი პროექტი გველოდება წინ.

ლალი ფაცია

სპეციალურად "ამბები.გე"-სთვის

იხილეთ ფოტოგალერეა

ყველა უფლება დაცულია

29401348 495795 TOP.GE 141115
29401361 496203 TOP.GE 141240

Why did Kristi Kipshidze get undressed – "The whole street was looking at me"

08:15 / 04-12-2013

Yesterday Kristi Kipshidze has shared her photos in a swimming suit on a Facebook page. Since then many people connect to her and ask where did she do this daring shooting and what's going on there? we also applied to her.

• Kristi, are you taking part in a film? Or this is your another photo session in a swimming suit?

This is a process of shooting a video commercial and its premiere will be today. So I shared the photos one day earlier in order to announce it.

• The photos with a swimming suit are taken as in the closed space as well as in the street. Was it difficult?

The "Arttime Boutique" commercial, which was shot by the director Giga Agladze. We were shooting in summer. You can see on the photos that it's a good weather and it's quite hot… The commercial is 2-minutes long and belongs to the comedy genre. I didn't have difficulties working on it, neither posing, nor playing. Also taking into account my profession, my character has been drawn up a long time ago. I don't have a feeling of shame while working, and actually what should you be ashamed for? When you are confident for your self and your body. I work comfortably and it isn't difficult...

I love my work so much that I do it with great sense of responsibility and consequently I don't have time to think about other things. The most important is to play a role and make the work done well.

• So you agree with the expression that art demands sacrifices?

Yes, art demands hard work, great devotion. This is my attitude- you have to deal professionally with your work.

• Probably none of the models in Georgia has ever shot such bold photos…

I don't know. Maybe they have. I don't say that I'm a pioneer in this. But taking into account my name and experience, it was a bit risky.. What if it's not going to be so good… Of course I had this question, but I worked with such good and professional crew that I instantly accepted this offer.

• There should have been some funny story on the shooting set.. Could you recall anything?

The funny thing was that we actually paralyzed the whole Kutuzov street. There was a traffic jam because of our shooting. And could you imagine all those curious faces? They say a known nude woman who was walking in the street. But there were very positive vibes all around. People enjoyed watching us and even applauded to us.

• What did your daughter Natashka say to you, who is your main judge?

Natashka as a future actress takes it all positively. But she asked me: oh mommy, how did you manage to walk like that? But as I told you the video is of a comedy genre and I think it won't irritate the viewers. We attracted big interest that day. I got so many messages on Facebook. I recall one of them: "Thanks Kristi for embellishing our street today…"

• What can you say about the director, Giga Agladze, what is it like to work with him?

Giga Agladze is very good and comfortable director. It's easy to work with him as he explains exactly what he wants to get. He has a wonderful crew, I can't recite all of them. I don't want to omit someone. I've worked with them many times and I hope we'll have many common projects in the future.

Lali Patsia

Especially for Ambebi.ge